

## ვაკანსიის № 50839

თანამდებობის დასახელება	მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
პოზიციის დასახელება	ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობისა და დასახლებებში გარე იერსახის ზედამხედველობის საკითხებში ღია კონკურსი
ორგანიზაცია	ხობის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	ზედამხედველობა
განცხადების ბოლო ვადა	28.07.2018
თანამდებობრივი სარგო	900 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	ხობი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

### ფუნქციები

1. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა;
2. წინადადებების შემუშავება დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერების ან/და დემონტაჟის, ასევე საჯარიმო სანქციების გამოყენების თაობაზე;
3. უკანონო, უსახური და ამორტიზებული კონსტრუქციების განთავსების ფაქტების გამოვლენა;
4. წინადადებების შემუშავება დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერების ალკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებაზე;
5. კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება;
6. შესასრულებლად გადაცემულ კორექტივებზე სათანადო რეაგირება;
7. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;
8. ხელმძღვანელ პირთა სხვა დავალებების შესრულება.

### მოთხოვნები

მინიმალური განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	2 წელი

### საკონკურსო თემატიკა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;
6. საქართველოს კანონი „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
9. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
10. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება;
11. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება;
12. „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილება;

13 „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილება;

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №189
საკონტაქტო ტელეფონები	599856064
საკონტაქტო პირი	სალომე ცხადაია

დამატებითი მოთხოვნები

1. მითითებული განათლება (უმაღლესი) მოითხოვება არქიტექტურის, საინჟინრო, ან/და სამშენებლო სფეროში.
2. მითითებული სამუშაო გამოცდილება (2 წელი) მოითხოვება არქიტექტურული, საინჟინრო ან/და სამშენებლო საქმიანობის სფეროში (სასურველია, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის მიმართულებით).
3. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი კომპეტენციები და უნარები:
  - ა) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
  - ბ) ცვლილებებისა და სიახლეების ინიცირების უნარი;
  - გ) დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
  - დ) გუნდური მუშაობის უნარი;
  - ე) კომპლექსური აზროვნება;
  - ვ) დროის ეფექტიანი მართვა;
  - ზ) საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
  - თ) ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

1. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, მისამართზე: [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)
2. სავალდებულოა „ჩემი რეზიუმეს“ „განათლების“ ბლოკში განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო „სამუშაო გამოცდილების“ ბლოკში - სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ასლის ატვირთვა.
3. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).
4. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც განაცხადის (აპლიკაციების) გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.
5. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.khobi.ge](http://www.khobi.ge)).
6. გასაუბრების ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია კანდიდატს ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე.
7. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა) გარეშე გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.
8. კონკურსის შედეგების (კანდიდატის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, სპარტენზიო კომისიაში, კანდიდატის ელექტრონულ ფოსტაზე კომისიის გადაწყვეტილების გაგზავნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მისამართზე: ქ. ხობი; ცოტნე დადიანის ქ. №189 (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა).
9. დამატებითი და დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე: [www.khobi.ge](http://www.khobi.ge), საინფორმაციო ბლოკი: „ვაკანსია“/„2018 წელი“/„ივლისი“.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

---

განცხადების გადარჩევა  
ზეპირი დავალება  
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

---

პირადი ინფორმაცია

სამუშაო გამოცდილება

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

განათლება კვალიფიკაცია

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები